

სინონიმია და ძირითად მინიმალური წყვილები
არაბულში

SYNONYMY AND MINIMAL PAIRS OF ROOTS IN ARABIC

ნინო ეჯიბაძე

Nino Ejibadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: არაბული, ენა, სინონიმია, სინქრონია,
დიაქრონია

Keywords: Arabic, language, synonymy, synchrony, diachrony

მოხსენება მიზნად ისახავს სინონიმის საკითხებში გარკვევის მცდელობას არაბული ენის მასალის საფუძველზე. მასალა განხილულია დიგლოსიურ ქრილში, სათანადო სინქრონიული და დიაქრონიული მონაცემების გათვალისწინებით.

1. არაბულში დასტურდება შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე აღსანიშნს შეესაბამება სხვადასხვა აღმნიშვნელი არაბო-ფონური სამყაროს სხვადასხვა რეგიონში; იმავდროულად, სიფრთხილეს მოითხოვს ისეთი ლექსემები, რომლებიც რეგიონული პოლისემიურობით ხასიათდებიან.

2. იმ სიტყვათა ერთი ნაწილი, რომლებიც შეიძლება სინონიმებად ჩავთვალოთ, ენის განვითარების განმავლობაში სემანტიკური ტრანსფორმაციის შედეგად დაუახლოვდა ერთმანეთს; მათი ამოსავალი მნიშვნელობები განსხვავებული იყო, თუმც კი მიახლოებულ სემანტიკურ ველს წარმოადგენდა.

3. არსებობს მოსაზრება, რომ არაბული ძირის ამოსავალი იყო ორთანხმოვნიანი შემადგენელი, რომელმაც შემდგომში გარკვეულ მორფთა შერწყმის შედეგად გაიძლიერა შემადგენლობა სამ და ოთხთანხმოვნიანამდე. ამის დასტურად შეიძლება წარმოვადგინოთ საკმაოდ მრავალრიცხოვანი წყვილები ძირებისა (და მათი სათანადო დერივატების), რომლებსაც ორი ძირისეული თანხმოვანი იდენტური აქვთ, ხოლო მათი ზოგადი სემანტიკა მიახლოებული ან იდენტურია; ამასთანავე, ნათქვამი არ გულისხმობს ამ ძირთა ყველა შემდგომი დერივატის იდენტურ მნიშვნელობას.

4. საბოლოოდ, არაბულში სინონიმის არსებობის მიზეზებად შეიძლება დასახელდეს სინქრონიაში – რეგიონალიზმი, ასევე – ლექსიკურ ერთეულთა დიაქრონიული სემანტიკური და ძირთა დიაქრონიული მორფოფონეტიკური ტრანსფორმაციები.

ლიტერატურა:

Гранде, Б.М. (1963). Курс арабской грамматики в сравнительно-историческом освещении, Москва: издательство восточной литературы.

Юшманов, И.В. (2017). Грамматика литературного Арабского языка, Москва:

ЛКИ

ابن هشام اللخمي (3002). تقويم اللسان. دبي: دار البشائر الإسلامية

ابن الشجري(2991)، ما تافق لفظها واختلف معناه. بيروت: دار المناهل
قاموس المعاني <https://www.almaany.com>
<https://mawdoo3.com>

The paper aims to discuss the issues of synonymy based on the material of the Arabic language, which is studied in a diglossive cut, taking into account the corresponding synchronous and diachronic data.

1. An Arabic, the case is confirmed when different words correspond to one meaning in different parts of the Arabophonic world. At the same time, the lexemes characterized by the regional polysemy require careful handling.

2. One part of the words, which can be considered synonyms, have converged during the development of the language; their initial values were different, although they belonged to the same semantic field.

3. There is an assumption that the original Arabic root was two-constituent; later, by merging different morphs, these roots strengthened their composition to three and four radicals. In support of this judgment, one can recall quite a few pairs of roots with two identical consonants, and their semantics are very close; at the same time, the above mentioned does not mean the identical meaning for all subsequent derivatives.

4. Ultimately, in the Arabic language, the reason for synonymy can be perceived to be regionalism, in synchronous cut, along with diachronic semantic transformations of lexical units and morphophonemic transformations of roots.

References:

Гранде, Б.М. (1963). Курс арабской грамматики в сравнительно-историческом освещении, Москва: издательство восточной литературы
Юшманов, И.В. (2017). Грамматика литературного Арабского языка, Москва: ЛКИ

ابن هشام اللخمي (3002). تقويم اللسان. دبي: دار البشائر الإسلامية
ابن الشجري(2991)، ما تافق لفظها واختلف معناه. بيروت: دار المناهل
قاموس المعاني <https://www.almaany.com>
<https://mawdoo3.com>

